პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 235 (12747) | შაბათი, 8 ოქტომბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა XII ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირთა ყველა წევრს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს.

ახორციელებენ რა სკკპ ისტორიული XX, XXI და XXII ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით დაუცხრომლად რაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად, ყველგან ახმარენ მათ ღონისძიებებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვას.

რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის — სოციალისტური შეჯიბრების ამ უმაღლესი ფორმის განსავითარებლად, ხელს უწყობენ წარმოების აურაცხელი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შესრულებაში აბამენ წარმოების ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

საქართველოს პროფკავშირები განუწყვეტლივ ზრუნავენ ადამიანებისათვის, მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მათი ჯანმრთელობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისათვის.

კიდევ უფრო იზრდება პროფკავშირთა როლი და მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში.

ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, სულ უფრო ფართოდ ჩავაბათ ისინი საყოველთაო სახალხო ბრძოლაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობამ უნდა შეაჯამოს პროფკავშირთა მუშაობის შედეგები, გამოავლინოს არსებული ნაკლოვანებანი და დასახოს მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო უსურვებენ რესპუბლიკის პროფკავშირთა XII ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები, მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები კვლავაც ახალი ძალითა და ენერგიით უფრო ფართოდ გაშლიან ბრძოლას შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიადი ლენინური პროგრამის შემდგომი განხორციელებისათვის, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობა

7 ოქტომბერი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი. აქ საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობაზე შეიკრიბნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

რესპუბლიკის პროფკავშირთა XII ყრილობას საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით ხსნის პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

საქმიან პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები გ. ნ. ბოჩაარიოვი, გ. ა. ბებეშიძე, ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჟანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ნ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. მ. სტარჩენკო, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ა. გ. ზარდიაშვილი, სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მუშა ნ. ტ. კიჩბა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი ლ. ვ. კობახიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ა. ს. ფანცულაია, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის გამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ი. დ. სორდია, ფოთის ელექტროაპარატის ქარხნის ხარატი ნ. გ. ჟედია, თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" გამომჭრელი ნ. კ. სენება, ალგეთის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ტ. კ. მეხტიევა, სულდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა გ. ს. სიმონიანი და სხვ.

ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ყრილობამ აირჩია სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

მტკიცდება შემდეგი დღის წესრიგი:

1. ანგარიში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შესახებ.
2. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:

ა) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსი;

ბ) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიისა;

გ) პროფკავშირთა XIII სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებისა.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე თ. გ. ბადურაშვილი.

ერთსულოვანი ტაშის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის პროფკავშირთა XII ყრილობისადმი.

ყრილობა იწყებს პირველი საკითხის განხილვას. საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ვ. ს. ტრაპაიძემ.

მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი. კამათში გამოვიდნენ: აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ა. ჯოხთაბერიძე, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ნოვატორი მღარავი ა. ე. ალექსეენკო, საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ე. მ. ლავთაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ს. გ. ქუთელია, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ნ. გ. გომელაური, გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ხ. მ. თოდუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. დ. ჟელიძე, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის დირექტორი მ. ბ. სარჯველაძე, საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. კობახიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. მ. ქართველიშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. ჟორჟოლაძე, თბილისის მთავარი უნივერმაღის გამყიდველი ე. ზ. ჯალაბაძე, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. პ. ზედგენიძე, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გ. ვაშაძე, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე მ. გ. ეძიაშვილი, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მუშა ლ. ვ. განცაძე და საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე პ. ა. ჩიკვილაძე.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დ. თ. ჟოლოკავას მოხსენება.

გამოქვეყნდა აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ყაზახეთის, მოლდავეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოების მისალმებანი საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობისადმი.

8 ოქტომბერს საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

საქართველოს პროფკავშირთა XII ყრილობის სხდომათა დარბაზში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში რუდოლფ დელინგმა გამართა დარბაზობა ეროვნული დღესასწაულის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 14 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, ლ. ნ. ეფრემოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პალეცკისი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

დარბაზობის დროს, რომელმაც ძმური, გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, ელჩმა რ. დელინგმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა სიტყვები წარმოთქვეს.

გულითადი მისალმება

საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ქმედითი ფაქტორია

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ვალტერ ულბრიხტს, ოტო გროტევოლს, იოჰანეს დიკმანსა და ერიხ კორენსს მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნის მე-14 წლისთავის გამო.

საბჭოთა ხალხი, ნათქვამია წერილში, მიესალმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით დაუცხრომლად იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციისა და გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა საშიში რევანშისტული მისწრაფებების წინააღმდეგ.

როგორც წერილში აღნიშნულია, დასავლეთ გერმანიისა და საერთაშორისო რეაქციის ვერავითარი ხრიკები ვერ შეაჩერებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განვითარებისა და განმტკიცების, მისი საერთაშორისო პოზიციების და პრესტიჟის განმტკიცების პროცესს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცე რწმენით მიდის მისი ხალხის მიერ არჩეული სოციალისტური გზით.

სიხარულით აღვნიშნავთ, ნათქვამია წერილში, რომ ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის შექმნილი ძმური ურთიერთობა და ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობა სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურღვევი მეგობრობა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ქმედითი ფაქტორი გახდა და იმის თავდებია, რომ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის ექსპანსიონისტური მისწრაფება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წინასწარ განწირულია ჩასაფუშავად. სოციალიზმის მშენებლობაში, იმპერიალისტური ძალების ხელყოფისაგან მის მონაპოვართა დაცვაში საბჭოთა ხალხი მუდამ თქვენთან ერთად იქნება. საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთიან მწყობრში იბრძვიან მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და მჭიდროდ შეკავშირებისათვის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობისათვის.

* * *

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-14 წლისთავის გამო მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ლოტარ ბოლცს. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-ალჟირის მეგობრობის განმტკიცება

საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში 30 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე ოფიციალურ ვიზიტად იყო ალჟირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჰუარი ბუმედიენი. ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ სტუმრებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის გამო.

საუბრის მსვლელობაში, რომელიც გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინსა და ალჟირის მთავრობის დელეგაციის მეთაურს შორის და გულწრფელობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ალჟირის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

საბჭოთა კავშირ-ალჟირის ერთობლივი კომუნიკე

გაიმართა აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე. მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ დაადასტურა, რომ საჭიროა ორივე ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება. მოლაპარაკების შედეგად დაიდო შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა მთავრობამ სახალხო დემოკრატიულ ალჟირის რესპუბლიკას მისცა გრძელვადიანი სესხი სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის საშუალებათა განვითარების მიზნით.

ორივე მხარე დარწმუნებულია, აღნიშნულია ერთობლივ კომუნიკეში, რომ ალჟირის მთავრობის დელეგაციის ვიზიტი სსრ კავშირში ხელს უწყობს საბჭოთა კავშირ-ალჟირის მეგობრობის განმტკიცებას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, მათი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე ხელს შეუწყობს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას, მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

4 ოქტომბერს მოსკოვში ეკონომიურ საკითხებზე გამართული მოლაპარაკების შედეგად ინიციალებით მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლის მიზანია ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება ეკონომიურ და ტექნიკურ დარგებში. (საქდესი).

მინერალური სასუქების წარმოების გადიდება დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა

სიტყვა ეკუთვნით ქიმიური მრეწველობის მუშაკებს

გულდასმით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს. ამ წერილში მართლაც დიდ, პრობლემატურ საკითხებზეა მსჯელობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველთა საფუძველი მარცვლეულის მეურნეობაა.

ჩვენ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გვყავს მაღალკვალიფიციური კადრები. წელს ჰექტარზე 22,6 ცენტნერი პურეული მივიღეთ. ყველაფერია იმისათვის, რომ მივიღოთ მარცვლეულის უფრო დიდი მოსავალი, მხოლოდ არ გვყოფნის მინერალური სასუქები. სიტყვა ქიმიური მრეწველობის მუშაკებს ეკუთვნით.

ერთი შენიშვნა: გაივლი ზოგიერთი კოლმეურნეობის მინდვრებში და გულსატკენ სურათს შეხვდები — გზის პირას დახვავებული მინერალური სასუქები მზე-წვიმაზე ფუჭდება. ნუთუ ამის გამკეთებელს არ აწუხებს, რომ ამ ძვირფას ნივთიერებაში საკმაო თანხებია გადახდილი? ეს ხომ დანაშაულებრივი დაუდევრობაა!

ა. კობაიძე,

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს ქიმიკოსები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს

ჩვენი ვალდებულებები

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილში დასმულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი. ჩვენ, რუსთავის ქიმიკოსები, აგრეთვე ქიმიური ობიექტების მშენებელ-მემონტაჟეები, ფართოდ გავეცანით ამ წერილს და დავსახეთ ახალი კონკრეტული ღონისძიებანი.

როგორც ცნობილია, წელს ნოემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებს. ვემზადებით რა ნოემბრის პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის, ამ დღეებში, ვადაზე ადრე დავამთავრეთ ქარხნის გაფართოების სამუშაოები. დამატებით ავამოქმედეთ ახალი საამქროები, რომლებიც წლიურად რამდენიმე ათეულ ათას ტონა ამონიუმის გვარჯილას გამოუშვებენ. უფრო მეტიც, კაპროლაქტამის საწარმოში მოვამზადეთ ახალი ამონიუმის სულფატის საამქრო. ამ დღეებში ეს საამქროც გამოუშვებს მინერალურ სასუქს — ამონიუმის სულფატს.

ვნერგავთ რა ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებს, სისტემატურად ვზრდით მინერალური სასუქების გამოშვებას. 1958 წელთან შედარებით ამჟამად ვუშვებთ 70 პროცენტით მეტ პროდუქციას.

მაგრამ მიღწეული არ გვაკმაყოფილებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ ვიანგარიშეთ ჩვენი შესაძლებლობანი და ვკისრეთ შემდეგი ვალდებულებანი:

20 ოქტომბრამდე მივიღოთ ამონიუმის სულფატის პირველი პროდუქცია;

მეოთხე კვარტალში ავითვისოთ საამქროს საპროექტო სიმძლავრის 60 პროცენტი, ხოლო მომავალი წლის მარტში — მთლიანი სიმძლავრე;

1964 წელს დავამთავროთ ამიაკის სინთეზის ყველა კოლონების ავტომატიზაცია, ეს საშუალებას მოგვცემს წელიწადში დავზოგოთ ათეულ ათასობით მანეთი;

ნოემბრის მეორე დეკადაში ავითვისოთ სინთეზური ამიაკის საამქროს სრული სიმძლავრე, წელს მეოთხე კვარტალში გეგმის ზევით გამოვუშვათ რამდენიმე ასეული ტონა ამიაკი;

ბუნებრივი გაზის ხარჯვის მნიშვნელოვანი შემცირებით 1964 წელს დამატებით მივიღოთ 3.400 ტონა ამიაკი, რაც საშუალებას მოგვცემს დამატებით გამოვუშვათ 7.624 ტონა მინერალური სასუქი;

წელს მეოთხე კვარტალში სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 100 ტონა აზოტმჟავა, ხოლო 1964 წელს მივაღწიოთ სუსტი აზოტმჟავის წარმოების სრულ ავტომატიზაციას, რაც 32.590 მანეთ ეკონომიას მოგვცემს.

წლის ბოლომდე ამიაკური გვარჯილის საამქროში საპროექტო სიმძლავრის დამატებით გამოვუშვათ ათეულ ათასობით ტონა მინერალური სასუქი.

ვიღებთ რა ამ ვალდებულებებს, დარწმუნებული ვართ, რომ მათი განაღდებით ღირსეულ წვლილს შევიტანთ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ა. სალარეიშვილი — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორი, თ. მონცელიძე — პარტიული კომიტეტის მდივანი, ძ. უჩლება — „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს უფროსი.

რეზერვები და საქმეები

ალაზნის ველი მეტად ნაყოფიერია, მაგრამ პრაქტიკით დავრწმუნდით, რომ მინერალური სასუქი მაინც საჭიროა. იმ ნაკვეთებში, სადაც ფოსფოროვან სასუქებს ვიყენებთ, სიმინდისა თუ სხვა კულტურების მოსავლიანობა 20-30 პროცენტით იზრდება.

გავეცანით და ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილს და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ჩვენს ხელთ არსებული რეზერვების ამოქმედებით, სასუქების გამოყენებით შეიძლება უფრო გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

ნ. ახოშვილი,

ყვარლის საწარმოო სამმართველოს კუჭატნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჯონ კენედიმ ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელებს

ვაშინგტონი, 7 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ ხელი მოაწერა ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელებს, რომლის რატიფიკაცია ამერიკის სენატმა მოახდინა მიმდინარე წლის 24 სექტემბერს.

ხელშეკრულება ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მისი სარატიფიკაციო სიგელები ერთსა და იმავე დროს ჩაბარდება შესანახად მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში 1963 წლის 10 ოქტომბერს.

სარატიფიკაციო სიგელების ხელმოწერისას პრეზიდენტმა კენედიმ გააკეთა მოკლე განცხადება, რომელშიც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის ხელშეკრულებას მსოფლიოს ბედისათვის. პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ამ ხელშეკრულებას მოჰყვება ახალი ნაბიჯები, რომელთა განხორციელება განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას.

არგენტინის მთავრობის მიწვევით

არგენტინის მთავრობის მიწვევით 7 ოქტომბერს მოსკოვიდან გაფრინდნენ საბჭოთა კავშირის სპეციალური დელეგაციის წევრები: ი. ვ. სპირიდონოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე (დელეგაციის მეთაური) და ი. ა. მალიკი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ისინ მიემართებიან ბუენოს-აირესში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ცერემონიაში არგენტინის რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტ არტურო ილიასათვის პრეზიდენტის ხელისუფლების გადაცემის გამო.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ნ. ბ. ალექსეევი — სსრ კავშირის ელჩი არგენტინაში, კ. ნ. ბოგატირიოვი — სსრ კავშირის საელჩოს სამხედრო ატაშე არგენტინაში, რომლებიც დელეგაციას შეუერთდებიან ბუენოს-აირესში.

უკანასკნელი საათი

მათემატიკოსები კვლავ ეწვივნენ თბილისს

სრულიად საკავშირო თათბირი ალბათობათა თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებზე

უკანასკნელ ხანებში მეორედ ესტუმრნენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერი მათემატიკოსები. მეცნიერების ამ მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი დარგის 500-მდე სპეციალისტი გუშინ შეიკრიბა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში, სადაც საზეიმოდ გაიხსნა VII სრულიად საკავშირო თათბირი ალბათობათა თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებზე.

თათბირი, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა, შესავალი სიტყვით გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა, აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ნ. კოლმოგოროვმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი მიესალმა თათბირის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ თათბირი მეცნიერების, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის მუშაკთა ფართო წრეების ყურადღებას მიიპყრობს.

საქართველოს მათემატიკური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. დ. კუპრაძემ აღნიშნა, რომ ალბათობათა თეორია და მათემატიკური სტატისტიკა მათემატიკის ის დარგებია, რომლებიც ყველაზე სრულად შეესაბამება თანამედროვე ამოცანებს. იგი მიესალმა თათბირის მონაწილეებს და საგანგებოდ აღნიშნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის აკადემიკოს ა. ნ. კოლმოგოროვის თვალსაჩინო დამსახურება, რომლის შრომებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს და უდიდესი წვლილია თანამედროვე მეცნიერებაში.

სიტყვას ამბობს პროფესორი დ. ვოლფოვიცი (ამერიკის შეერთებული შტატები). ამერიკელ მეცნიერთა სახელით იგი მიესალმა თათბირის მონაწილეებს.

— აქ მე ვხვდები, — განაცხადა მან, — საბჭოთა მეცნიერების ბევრ მოღვაწეს, რომელთა ნაშრომები კარგად არის ცნობილი ამერიკის შეერთებულ შტატებში. უცხოელი სტუმარი ეხება აკადემიკოს კოლმოგოროვის თვალსაჩინო გამოკვლევებს, რომლის შრომები სახელს უთქვამს საბჭოთა მათემატიკურ სკოლას, აღნიშნავს ქართველი კოლეგების სტუმართმოყვარეობას.

პროფესორმა ა. რენიმ უნგრელ მეცნიერთა სახელით შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა.

თათბირის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. კ. ხარაძის სიტყვა.

შემდეგ თათბირი მუშაობას შეუდგა დასახული პროგრამით.

თვალსაჩინო შვედმა მეცნიერმა, პროფესორმა გ. კრამერმა, რომლის სახელმძღვანელოთა მიხედვით მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ მათემატიკურ სტატისტიკას, მოხსენება წაიკითხა დროის მიხედვით ცვალებადი მოვლენების — შემთხვევითი პროცესების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ.

შესვენების შემდეგ თათბირმა მუშაობა განაგრძო სექციების მიხედვით. ერთ-ერთ სექციაში მეცნიერთა სახელით მოხსენება წაიკითხა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ვ. დინკინმა. მოხსენება მიეძღვნა საკითხს, როგორ ვითარდება დროის მიხედვით შემთხვევითი პროცესები და როგორ იყენებენ მათ საზოგადოებისათვის.

ალბათობათა თეორიის პრობლემებზე, მათემატიკის სხვა ნაწილებთან — ფუნქციურ ანალიზთან და ზომის თეორიასთან კავშირში, ილაპარაკა სხვა სექციაში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ვ. ფომინმა.

საღამოს სხდომაზე აკადემიკოსმა ა. ნ. კოლმოგოროვმა წაიკითხა მოხსენება — „ალბათობათა თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენება პოეტიკაში". მოხსენებამ საერთო ყურადღება მიიქცია.

თათბირი 7 დღეს გაგრძელდება. მოისმენენ 200-ზე მეტ მოხსენებასა და ცნობას. (საქდესი).

ალვზარდოთ კადრები პარტიისა და ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

კომუნიზმის მშენებლობის უდიდესი მასშტაბები და ურთულესი ამოცანები, მშრომელთა შეგნებულობის, პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ზრდა ახალ, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს ხელმძღვანელ კადრებს. უმთავრესი, რაც მათ მოეთხოვებათ ის არის, რომ უზრუნველყონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საქმის კარგად წარმართვა, მუდამ წინ მიისწრაფოდნენ. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეთა გამოსვლებს.

— რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ, — თქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ი. ფრუიძემ**, — რომელიც სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს ახორციელებს, დიდი მუშაობა, განახორციელა კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადებისათვის, მათი განაწილებისა და აღზრდისათვის. ქალაქის უმეტეს პარტიულ ორგანიზაციებში კადრების იდეურ-პოლიტიკური წრთობის ქმედითი საშუალება გახდა მარქსისტულ-ლენინური განათლება.

სერიოზული ყურადღება ეთმობა კადრების და უწინარეს ყოვლისა საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკების ეკონომიკურ და სპეციალურ მომზადებას. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები ჩაბმული არიან საგიტაციო და პროპაგანდისტულ მუშაობაში. ამ საქმეში დაახლოებით სამი ათასი კაცი მონაწილეობს.

ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოების შემდგომ განვითარებას, დადებით გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე. თბილისის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა მესამე კვარტალის საწარმოო დავალება, ხოლო მშენებლებმა გაანაღდეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნაკისრი ვალდებულებანი.

პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ წარმოების გადამწყვეტი უბნების განმტკიცებას გამოცდილი, ენერგიული, საქმის მცოდნე ხელმძღვანელებით. უკანასკნელ ხანებში 25-ზე მეტ სამრეწველო საწარმოში განახლდა ხელმძღვანელობა ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების დაწინაურების გზით. ამასთანავე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით შეივსო პარტიული აპარატი და ახლა პარტიის საქალაქო და სარაიონო კომიტეტებში 50-მდე მუშაკს უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს.

— უდიდესი გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს მრეწველობაში განხორციელდა, — განაგრძო ამხ. ფრუიძემ, — უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს საწარმოთა მუშაკებს და, განსაკუთრებით, მათ ხელმძღვანელებს. მათ მაღალი კვალიფიკაცია და დიდი თეორიული ცოდნა მოეთხოვებათ. ჩვენი კადრები ძირითადად აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს. მაგრამ ჩვენი საწარმოების საამქროებისა და უბნების 1.721 უფროსიდან 830-ს ანუ 48 პროცენტს სპეციალური უმაღლესი განათლება არა აქვს. ხშირად უმაღლესი და საშუალო ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტებს დანიშნულების მიხედვით არ იყენებენ. ამის დასადასტურებლად ორატორმა კონკრეტული ფაქტები მოიყვანა. შემდეგ მან დაწვრილებით ილაპარაკა კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, კადრების შერჩევისა და განაწილების შემდგომ მოწესრიგებაზე, მათი პასუხისმგებლობის გაზრდაზე მინდობილ უბანში საქმის მდგომარეობისათვის.

— საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციამ, რომელიც პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობს, — თქვა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ი. ს. ჩანბამ**, — უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა განახორციელა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო აპარატების ყველა რგოლში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის. ამ მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცა. ი. ს. ჩანბას სიტყვაში მოყვანილი იყო მაგალითები, ციფრები, რომლებიც აფხაზეთის მშრომელთა წარმატებებს ასახავენ.

პარტიის საოლქო ორგანიზაცია ცდილობს კიდევ უფრო აამაღლოს მასების შრომითი აქტივობა და უდიდეს ყურადღებას უთმობს კადრებთან მუშაობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თქვა ამხ. ჩანბამ, — არაერთხელ გააკრიტიკა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია იმის გამო, რომ იგი საკმარის ყურადღებას არ უთმობდა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს. ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ შესაბამისი დასკვნები გამოიტანა ამ კრიტიკიდან და მთავარ ყურადღებას უთმობს როგორც ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების აპარატის განმტკიცებას, ისე უშუალოდ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების აპარატების განმტკიცებას.

მეტ წილ საწარმოებს, საამქროებსა და უბნებს ახლა უმაღლესი და საშუალო სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე ადამიანები მეთაურობენ. შეიცვალა ხელმძღვანელი კადრების მდგომარეობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშიც. აქ, როგორც წესი, მუშაობენ უმაღლესი განათლების მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. გამოცდილი მუშაკებით არის დაკომპლექტებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა და სამრეწველო ზონების პარტიული კომიტეტების აპარატი, აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების აპარატი. ამ მუშაკთა დიდ უმრავლესობას უმაღლესი და სპეციალური განათლება აქვთ. ეს მათ საშუალებას აძლევს საქმეს დიდი ცოდნით უხელმძღვანელონ მეურნეობას. ორატორები შეეხნენ კადრების მომზადებისა და გადამზადების დაგეგმვის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ს. ჩიაევმა** თქვა, რომ ახლებურად ხელმძღვანელობის ლენინური იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებას, სულ უფრო ღრმად იჭრება პარტიული აპარატის ყველა რგოლში, იძლევა შესანიშნავ შედეგებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წარმატებანი. ავტონომიური ოლქის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის რვა თვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა, გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების დავალებანი. ამ ხნის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა გამოუშვეს 946 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწიეს სოფლის მშრომელებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს გეგმაზე ორნახევარჯერ მეტი პური, მოიყვანეს სიმინდის კარგი მოსავალი.

ყოველივე ეს კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების შესახებ პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების პირველი შედეგებია. ეს მუშაობა მით უფრო უნდა განვაგრძოთ, რომ ჩვენში არის ჩამორჩენილი საწარმოები, ისეთები, როგორიცაა ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი, საქართველოს თალკის ქარხანა, საშენ მასალათა კომბინატი. სოფლის მეურნეობაში ბევრი აუთვისებელი მიწაა. სამხრეთ ოსეთის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, კადრების უკეთესად განაწილებისა და აღზრდისათვის, ჩვენ გვაკლია მთელი რიგი სპეციალისტები. მაგალითად, მრეწველობაში გვყავს 100-ზე მეტი პრაქტიკოსი, რომლებსაც ინჟინერ-ტექნიკოსთა თანამდებობები უკავიათ. კოლმეურნეობათა 48 თავმჯდომარიდან — 40 აგრეთვე პრაქტიკოსია. ჩვენ ვახორციელებთ ღონისძიებებს კადრების მოსამზადებლად. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში გავგზავნეთ ადგილობრივი მოსახლეობის 1.200 ახალგაზრდა.

სოფლის პარტიული კომიტეტების, საწარმოო სამმართველოთა საქმიანობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ მთელი თავისი ყურადღება დაუთმეს წარმოების ძირეულ საკითხებს. კონკრეტულ დახმარებას უწევენ მეურნეობებს, განამტკიცებენ მათ მცოდნე, თავისი საქმის მოყვარე მუშაკებით, ზრუნავენ იმაზე, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, ფერმების, რგოლების ხელმძღვანელები ეუფლებოდნენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროგრესულ ხერხებს.

— ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში, — თქვა მისმა უფროსმა **ბ. ო. მინდელმა**, — მიმდინარეობს მუშაობა მათის კოლმეურნეობათა ეკონომიკის განსამტკიცებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ჩვენში ჯერ კიდევ არის ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. საწარმოო სამმართველოს სპეციალისტები, პარტიული მუშაკები, ღრმად სწვდებიან ამ კოლმეურნეობათა ეკონომიკის თავისებურებებს, ეძებენ ჩამორჩენის მიზეზებს, პოულობენ და ამოქმედებენ წარმოების რეზერვებს.

მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობების ჩამორჩენის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ მათ სათავეში ედგნენ უცოდინარი, ორგანიზატორულ ნიჭს მოკლებული ადამიანები, ზოგჯერ კი ისეთი ადამიანები, რომლებმაც ვერ გაამართლეს კოლმეურნეთა ნდობა. ამ ბოლო ხანებში არტელების თავმჯდომარეებად არჩეულია 14 აგრონომი, ზოოტექნიკოსი, სპეციალისტი-მექანიზატორი, მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი.

სერიოზული ყურადღება ექცევა ბრიგადირების, ფერმის გამგეების კადრების შერჩევას. ველისმცველთა მოწოდების საპასუხოდ ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ სოფლის მეურნეობის 26 სპეციალისტი გადავიდა.

თავის სიტყვაში, საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **შ. ს. კობახიძემ**, პლენუმის მონაწილეებს გააცნო რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელთა წარმატებანი. მან აღნიშნა, რომ ეს წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად რომ ეცნობოდნენ წარმოების ეკონომიკას, უფრო გაბედულად ავლენდნენ არსებულ რეზერვებს, უფრო სერიოზულად ეკიდებოდნენ კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეს, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ, არსებითი ნაკლოვანებანი და შეცდომებია დაშვებული.

მთელი რიგი ორგანიზაციების მატერიალურ-პასუხსაგებ თანამდებობებზე მოკალათება მოახერხეს არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა, წამგლეჯებმა. ისარგებლეს რა სიფხიზლის შესუსტებით, სათანადო კონტროლის უქონლობით, მათ შესძლეს დიდი თანხის მითვისება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად გამოავლინა ჩვენი ნაკლოვანებები. პარტიის ქალაქკომის პლენუმზე, რომელიც მძაფრი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობდა, დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შეიქმნა საქალაქო და დარგობრივი კომისიები, რომლებიც შეისწავლიან კადრების შერჩევისა და განაწილების მდგომარეობას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. განხორციელებულია მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი. ამან ხელი შეუწყო სახალხო დოვლათის დატაცების, მექრთამეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევების შემცირებას.

მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. თითოეულ ხელმძღვანელში უნდა აღვზარდოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის გრძნობა, გავზარდოთ პასუხისმგებლობა მინდობილ სამუშაო უბანზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი.

დღეს, როგორც არასდროს, თითოეულ ხელმძღვანელს მოეთხოვება მაღალი იდეური წრთობა, წარმოების ტექნიკისა და ეკონომიკის ცოდნა, კომუნისტური მშენებლობის კანონზომიერებათა და პერსპექტივების გაგება, უნარი დარაზმოს ადამიანები სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

— რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში, — თქვა მისმა თავმჯდომარემ **ნ. გ. გომელაურმა**, — 238 ათასი ადამიანი დასაქმებული. მათ შორის 25 ათასზე მეტი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკია. ყოველწლიურად მრეწველობას ემატება ახალგაზრდა სპეციალისტები. შარშან, მაგალითად, საწარმოებში მოვიდა 956 სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით, წელს კი ჩვენ კიდევ 1.200-მდე ინჟინერსა და ტექნიკოსს მივიღებთ. ორატორმა დაასახელა ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც მრეწველობისა და მშენებლობის სხვადასხვა წამყვან უბნებზე გამოიჩინეს თავი.

— მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი მუშაობისა, რომელიც გაწეული იყო კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე, — განაგრძო ამხანაგმა გომელაურმა, — ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები. კადრების შერჩევისას შეცდომებს ვუშვებთ როგორც ჩვენ, ისევე ადგილობრივი სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციები. მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელები საკმაო სერიოზულობით არ ეკიდებიან მატერიალურ-პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევის საქმეს. აი რატომ მოხდა, რომ ამ კატეგორიის მუშაკთა შორის აღმოჩნდა პირები, რომლებიც ნდობის ღირსნი არ იყვნენ, წარსულში ჰქონდათ ნასამართლობა სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის, მათ შორის გაფლანგვისა და მიტაცებისათვის.

ამხ. გომელაურმა სამართლიანად მიიჩნია კრიტიკა, რომელიც სახალხო მეურნეობის საბჭოს მისამართით იყო გამოთქმული მოხსენებაში, მან ილაპარაკა იმ ზომებზე, რომელიც მიღებულია კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებისათვის, გაფლანგვისა და მიტაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის მოწესრიგებისათვის.

— გადამწყვეტი მნიშვნელობა, — ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ა. ხ. ბექაურმა**, — აქვს კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხს, მათთან მუშაობას. ეს, პირველ რიგში, ეხება კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კადრებს.

საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში 700 კაცს ხელმძღვანელი პოსტები უჭირავს. მათგან ნახევარზე მეტს სპეციალური უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. საწარმოო სამმართველოსა და პარტიული კომიტეტის აპარატები ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა მუშაკებისაგან შედგება. ფაქტები მოწმობს, რომ იქ, სადაც სწორად არის გადაწყვეტილი კადრების შერჩევის საკითხი, საქმე კარგად მიდის. ორატორს მოჰყავს მაგალითები, იგი ასახელებს საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ორგანიზატორების გვარებს, რომლებმაც შესძლეს საქმის გამოსწორება ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში. მათ შორის სოფელ ასურეთის არტელის თავმჯდომარე ამხ. ჩომახაშვილი, სოფელ ჯინისის არტელის თავმჯდომარე ამხ. ქრისტიანოვი.

გამოცდილი კადრებით არის გაძლიერებული კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც ახლა აგრონომები და ზოოტექნიკოსები ხელმძღვანელობენ. ყველაფერმა ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. მიმდინარე წელს სამმართველოს მეურნეობები გადამეტებით ასრულებენ მეტი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმებს.

ორატორმა აღნიშნა, რომ აუცილებელია გაუმჯობესდეს ბუღალტერიისა და საანგარიშო დარგის მუშაკების, ეკონომისტების მომზადება, რომელთა ნაკლებობას განიცდიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

კადრებს გადიდებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, უწინარეს ყოვლისა. მუშაკების შერჩევისა და დაწინაურებისას. უნდა ვეცადოთ, რომ ხელმძღვანელობის ყოველ უბანზე ისეთი ადამიანები დავაწინაუროთ, რომლებმაც თავიანთი პოლიტიკური და საქმიანი თვისებები გამოავლინეს პრაქტიკულ მუშაობაში, გვიჩვენეს, რომ უნარი შესწევთ დარაზმონ მასები, შემოქმედებითად მიუდგნენ საქმეს, ადამიანები, რომლებსაც შემდგომი ზრდის პერსპექტივები აქვთ.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ლ. მ. უკლებამ** თქვა, რომ ხელმძღვანელ სამეურნეო, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაობაზე უკანასკნელ ხანებში დაწინაურდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრები. აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 700 სპეციალისტი მუშაობს. აქედან 60 სპეციალისტი არტელების თავმჯდომარეები არიან.

კადრების სწორი შერჩევა და განაწილება დადებით შედეგებს იძლევა. ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა ვადამდე ხუთი დღით ადრე შეასრულეს პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის გეგმა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მეჩაიეებმა ვადამდე, 28 აგვისტოსათვის, შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, ხოლო 1 ოქტომბრისათვის — ნაკისრი ვალდებულებანი. ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მოკრეფილია 5170 კილოგრამი ფოთოლი. გადაჭარბებით შესრულდა კოფეინის ნედლეულის, აბრეშუმის პარკის, დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმები.

— მაგრამ სწორი არ იქნებოდა მივეჩნია, თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, — აღნიშნა ამხ. უკლებამ, — კერძოდ, კარგად არ არის კადრების შერჩევის საქმე სავაჭრო ორგანიზაციებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აჭარაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მდგომარეობის საკითხი და სერიოზულ ნაკლოვანებებზე მიგვითითა. ჩვენ შესაბამისი დასკვნები გამოვიტანეთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კადრების იდეურ წრთობას, მათ მარქსისტულ-ლენინურ განათლებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ **ე. დ. ჩოფიკაშვილმა** თქვა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. — ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვებრძვით გაფლანგვასა და უყაირათობას ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, მყიდველების წონაში და ანგარიშში მოტყუების, უფაქტურო საქონლის რეალიზაციის ფაქტებს, — თქვა მან. ე. დ. ჩოფიკაშვილმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება ამ შეუწყნარებელი მოვლენების აღმოსაფხვრელად და უწინარეს ყოვლისა კადრების შერჩევისა და განაწილების გასაუმჯობესებლად.

მოწმდება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების, საანგარიშო-სარევიზიო და ხელმძღვანელი მუშაკების პირადი შემადგენლობა. ამ თანამდებობებზე კეთილსინდისიერი, პატიოსანი, საქმის მცოდნე ადამიანები უნდა მუშაობდნენ. ყურადღება ეთმობა სავაჭრო საწარმოებში ბრიგადების მატერიალური პასუხისმგებლობის დანერგვას. სწორედ კოლექტიურ მატერიალურ პასუხისმგებლობაში ვლინდება ყველაზე კარგად შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების თვისებები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობაში ქალების ჩაბმას. ამჟამად ისინი ვაჭრობის მთელი მუშაკების ნახევარს შეადგენენ, მაგრამ ეს საკმარისი როდია. საჭიროა უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ქალები ვაჭრობაში ხელმძღვანელ სამუშაოებზე.

პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ, მუშაკების შერჩევისას მათთვის გადიდებული მოთხოვნების წაყენებასთან ერთად, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი კადრების საქმიანობისადმი. საჭიროა იმით ვიხელმძღვანელოთ, რომ მხოლოდ ზემოდან — პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მხრივ, და ქვემოდან — პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა ფართო მასების მხრივ მუდმივი კონტროლით შეიძლება კადრების სწორად აღზრდა. და, პირიქით, უკონტროლობის ვითარებაში მუშაკებს ხშირად უჩლუნგდებათ დავალებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, უჩნდებათ საბჭოთა ხელმძღვანელისათვის უცხო თვისებები, ხდება სხვადასხვა ბოროტმოქმედებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. ვ. ჟამიერაშვილმა** თავის სიტყვაში მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა შედეგები მოსდევს შეცდომებს კადრების შერჩევაში, მათი ყოველდღიური მუშაობისადმი უკონტროლობას. ამით შეიძლება იმის ახსნა, რომ პასუხსაგებ თანამდებობაზე ხანდახან ისეთი ადამიანები გაძვრებიან ხოლმე, რომლებიც ამის ღირსი არ არიან, ნდობას არ იმსახურებენ. ერთ-ერთი მათგანი იყო „აჭარკოოპკავშირის“ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ტ. ზოიძე, რომელიც თვალის ახვევის გზას დაადგა და დიდი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს ხელმძღვანელთა სრული უკონტროლობის შედეგად თბილისის ხორცკომბინატში დაიბუდა საქმოსანთა და წამგლეჯთა ჯგუფმა. კადრების შერჩევისა და განაწილების უხეში დარღვევა გამოვლინდა პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს სისტემაში.

ადამიანებთან მუშაობაში უნდა ვიყოთ გულისხმიერნი, მზრუნველნი, ვასწავლოთ და აღვზარდოთ ისინი. ამასთან ერთად უნდა ვიყოთ მართალი, პირდაპირი და პრინციპული. ყოველი ლიბერალიზმი დამნაშავეთა მიმართ არა თუ არ აღზრდის მათ, არამედ, პირიქით, ჩაადენინებს სხვა დანაშაულს. ჩვენს მუშაობაში მთავარია განვახორციელოთ პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომლებიც აღკვეთენ ბოროტმოქმედების შესაძლებლობებს, აღვზარდოთ კადრები. მაგრამ, იქ, სადაც ამას მოითხოვს საქმის ინტერესები, საჭიროა, სამედიცინო ენით რომ ვთქვათ, ქირურგიული ჩარევაც, რაც აგრეთვე აღზრდის ერთ-ერთი ფორმაა. სამწუხაროდ, სამინისტროთა და უწყებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი საქმის საზიანოდ იჩენს შეუწყნარებელ გაუბედაობას. მაგალითად, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო მომარაგების სამმართველოს უფროსის ამხ. პიკუსის შესახებ მიღებული სიგნალების შედეგად პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გამოარკვია მთელი რიგი მეტად უხეში დარღვევანი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თვითონ გაარკვევდა თავს ამ საქმეს, და შემოწმების მასალები გადაუგზავნა განსახილველად სამინისტროს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში არა თუ არ მოიძებნა ქირურგის ხელი, არამედ, საკვირველია, კოლეგიის წევრებმა კბილებით დაიცვეს პიკუსი და ერთხელ კიდევ ოდნავ დაამინეს იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში პიკუსის წინააღმდეგ არაერთხელ აღუძრავთ სისხლის სამართლის საქმე. და თუ საგამომძიებლო ორგანოები კიდევაც მის მოქმედებაში ვერ პოულობდნენ დანაშაულის შემადგენლობას, მისი მორალური სახე აშკარად უსიამოვნოა.

— სამინისტროებისა და უწყებების ზოგიერთი ხელმძღვანელი, — აღნიშნა ამხ. ჟამიერაშვილმა, — არ ზრუნავს სპეციალისტების სწორად გამოყენებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში თითქმის ორჯერ მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობს, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ხშირად არის ფაქტები, როცა სათანადოდ ვერ აფასებენ სპეციალისტებს, პირდაპირი დანიშნულებით არ იყენებენ მათ.

მაგალითად, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში ინჟინრის თითქმის ყოველ თანამდებობაზე მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ საჭირო განათლება, ხოლო სახალხო მეურნეობის ამ დარგის საწარმოთა 71 დირექტორიდან ნახევარზე მეტს არა აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მომხმარებლებისაგან მოდის უამრავი საჩივარი პროდუქციის ცუდი ხარისხის გამო.

იმაზე, თუ რა მუშაობა ხორციელდება რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კადრების თვისებრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, ილაპარაკა მინისტრმა **ო. ა. ქავთარაძემ**. სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პარტიულ-კომკავშირულმა ორგანოებმა სამინისტროს სისტემაში სამუშაოდ გაგზავნეს 700-ზე მეტი კაცი. უმჯობესდება პირადი შემადგენლობის პოლიტიკური აღზრდა, სამსახურებრივი და საბრძოლო მომზადება, მტკიცდება სამხედრო დისციპლინა. აღებულია გეზი, რომ დაიხვეწოს და უფრო სრულყოფილი გახდეს მუშაკთა ოპერატიული ოსტატობა, ამაღლდეს მუშაობის კულტურა, აღმოიფხვრას პრიმიტივიზმი და კუსტარულობა სამსახურებრივი ამოცანების გადაჭრაში.

ადმინისტრაციულ ორგანოებში მუშაობა მინდობილი უნდა ჰქონდეთ მხოლოდ პატიოსან, უანგარო ადამიანებს. უნდა განვდევნოთ ის პირები, რომლებიც არცხვენენ ორგანოების მუშაკთა საპატიო წოდებას. ეს დიდად შეუწყობს ხელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ **გ. ს. ბიწაძემ** დაწვრილებით ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება პროკურატურის კადრებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების, სპეკულაციის, მექრთამეობისა და სხვა დანაშაულთა წინააღმდეგ.

კადრების აღზრდა და გამოწრთობა მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს, რაც უფრო თანმიმდევრულად და ბეჯითად ხორციელდება ლენინური მოთხოვნა—შევამოწმოთ ადამიანები და შევამოწმოთ საქმის ფაქტიური შესრულება. სწორედ ამ მოთხოვნის უგულებელყოფით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ერთ დროს, და აქა-იქ ახლაც, რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში თავი შეაფარეს ათასგვარმა საქმოსნებმა, მაქინატორებმა, უსინდისო მუშაკებმა. აქ კვლავ იჩინა თავი დიდმა ბოროტებამ—დატაცებამ, გაფლანგვამ, სხვადასხვა ბოროტმოქმედებამ.

ეს იმას მოწმობს, — თქვა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ნ. ს. ჯავახიძემ**, — რომ საჭიროა უფრო გულმოდგინედ მოვეკიდოთ კადრების შერჩევას მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე. ჩვენი ვალია გავწმინდოთ კოოპერატორთა რიგები უპატიოსნო, შემთხვევითი ადამიანებისაგან.

ცეკავშირის სისტემაში მუშაობს 38 ათასი კაცი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე გაიზარდა სპეციალისტთა რიცხვი, ჯერჯერობით მაინც გვაკლია სპეციალისტები. ჩვენ დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ კადრების მომზადებისა და აღზრდისათვის. ამაში დიდი როლი უნდა შეასრულონ თბილისისა და ქუთაისის კოოპერაციულმა ტექნიკუმებმა.

— გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული და სამეურნეო მუშაკები, — თქვა მისმა უფროსმა **ი. ა. ტოლიაშვილმა**, — თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი და მარცვლეული კულტურების წარმოებისა და დამზადების წლიური გეგმა, სახელმწიფოსათვის ხორცის, მატყლის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის მიყიდვის ცხრა თვის დავალებანი. წარმატებით მიმდინარეობს მზრალად ხვნა. საშემოდგომო თესვა, ნიადაგის მომზადება ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად, ვამზადებთ საკვების მარაგს მეცხოველეობისათვის.

ჩვენს რაიონში ჯერ კიდევ არის ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. 11 საბჭოთა მეურნეობიდან 6 საბჭოთა მეურნეობამ სამეურნეო წელი ზარალით დაამთავრა. ეს იმას მოწმობს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში ყველაფერი როდია რიგზე. მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ მეურნეობათა ხელმძღვანელობის ძირეულ საკითხებს, მათთვის კონკრეტული დახმარების გაწევას, ადამიანებთან მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნამ შესაძლებელი გახადა ის, რომ პარტიული ხელმძღვანელობა უშუალოდ მიუახლოვდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ხელმძღვანელობა გახდა უფრო კონკრეტული, მიზანდასახული, ქმედითი. ამის შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა **ზ. ვ. გელდიაშვილმა**.

მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, სასოფლო-სამეურნეო მუშაობა განხორციელდა უფრო მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, ვიდრე შარშან. ამან უზრუნველყო ჩაისა და მარცვლეული თავთავიანი კულტურების წარმოებისა და დამზადების წარმატება. დაუცხრომელი ბრძოლა მიმდინარეობდა ყურძნისა და ხილის მოსავლისათვის. გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების, ბოსტნეულის, მზესუმზირას, კარტოფილისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება. იმატა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხის სულადობამ.

მაგრამ, — ამბობს ამხ. გელდიაშვილი, — ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გადაუჭრელი საკითხი, გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის კადრების შერჩევასა და განაწილებაში. სწორედ ეს არის მნიშვნელოვან წილად იმის მიზეზი, რომ ჩამორჩენილია წარმოების მთელი რიგი დარგები, დაბალია ცალკეულ მეურნეობათა ეკონომიური მაჩვენებლები. ამხ. გელდიაშვილი აკრიტიკებს ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს, რომელმაც ვერ შეძლო შექმნა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა. სამმართველოს მეურნეობებში დაუსაბუთებლად არის შემცირებული მარცვლეულის წარმოება, რომელიც მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობის საფუძველია.

ბევრი რამ უნდა გააკეთონ საწარმოო სამმართველოებმა, რათა მოწინავეთა დონემდე აიყვანონ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი, სწორად მოაწყონ შრომა, აამაღლონ სოფლის მშრომელების მატერიალური დაინტერესება, აღმოფხვრან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები, ებრძოლონ მუქთახორებს, იმათ, ვინც არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში, მაგრამ კოლმეურნეობის დოვლათით სარგებლობს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო მიწერის, საზოგადოებრივი დოვლათის მიტაცებისა და განიავების ფაქტებს.

ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **კ. დ. ვერიჟნიკოვმა** გააანალიზა ცალკეული კოლმეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები, აღნიშნა, თუ რა მუშაობას ეწევიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობების დაწინაურებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობების გამოცდილი მუშაკებით, სპეციალისტებით განმტკიცებისათვის, რომლებიც კარგად იცნობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკას.

რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადების მსხვილი ცენტრია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის ექვს ფაკულტეტზე თორმეტ სპეციალობას ეუფლება 9 ათასზე მეტი სტუდენტი. მათ შორის 5.535 კოლმეურნეა, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს განათლებას. ამის შესახებ ილაპარაკა ინსტიტუტის რექტორმა **ი. ფ. სარიშვილმა**.

ინსტიტუტის ბევრი კურსდამთავრებული ნაყოფიერად შრომობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდა სპეციალისტები ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დანიშნულების ადგილზე არ ცხადდებიან. შარშან 100 კურსდამთავრებულიდან, რომლებიც სამუშაოდ ყაზახეთში გაანაწილეს, მხოლოდ რამდენიმე კაცი გაემგზავრა და ისინიც ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ახალგაზრდა სპეციალისტები მოვალენი არიან იმ უბნებზე იმუშაონ, სადაც გზავნიან, სადაც ისინი უფრო საჭირონი არიან. საჭიროა მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი იმათ, ვინც თავს არიდებს მუშაობას, უმადურად იქცევა იმ უმაღლესი სასწავლებლის მიმართ, სადაც შეიძინა ცოდნა, სპეციალობა.

ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი კადრების თვისობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხს. გაზრდილ, რთულ ამოცანებს მხოლოდ ის მუშაკები გადაწყვეტენ, რომლებსაც საჭირო ტექნიკური ცოდნა აქვთ, წარმოების მებრძოლი ორგანიზატორები არიან.

პრაქტიკა გვიჩვენებს, — თქვა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ **მ. კ. მაღრაძემ**, — რომ იქ, სადაც საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებად სპეციალისტები არიან, საქმეც კარგად მიდის. მაგალითისათვის გამოდგება გურჯაანისა და გაგრის ავტოტრანსპორტის კანტორები, სადაც წამყვან უბნებს ინჟინრები და ტექნიკოსები მეთაურობენ. კადრების სწავლებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას ძალიან სერიოზული ყურადღება ეთმობა. ავტოტრანსპორტის 400-ზე მეტი მუშაკი წარმოებას მოუწყვეტლივ იღებს უმაღლეს განათლებას.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ არის კადრების არასწორი განაწილების ფაქტები. ხელმძღვანელ სამუშაოზე ხანდახან გზავნიან ადამიანებს, რომლებსაც შესაბამისი სპეციალობა, გამოცდილება არა აქვთ, არა აქვთ ორგანიზატორული უნარი. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა შემთხვევები, როცა არღვევენ ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციის წესებს, უკანონოდ გადააქვთ ტვირთი, უბილეთოდ გადაჰყავთ მგზავრები, დანიშნულების მიხედვით არ იყენებენ მანქანებს. ამ უმსგავსო მოვლენებს დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ.

როგორც პლენუმზე აღინიშნა განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყოველ ხელმძღვანელს ჰქონდეს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის გრძნობა, დავალებული საქმის წარმატებით შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, როცა არ შეურიგდებიან იმ მუშაკებს, რომლებიც ჩქმალავენ ნაკლოვანებებს, ორგანიზატორულ მუშაობას მოჩვენებითი საქმიანობით ცვლიან.

ეს აზრი აისახა, კერძოდ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ნ. ვ. გურგენიძის** სიტყვაში. მან თქვა, თუ როგორ მუშაობენ კომკავშირული ორგანიზაციები პარტიის, სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ჩვენი ახალგაზრდობა თავდადებულად შრომობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ღირსეული წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში. დაახლოებით ხუთმა ათასმა ახალგაზრდა რაციონალიზატორმა 7.683 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა, რომლებმაც ხელი შეუწყეს წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას და მნიშვნელოვანი ეკონომია უზრუნველყვეს.

ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს კომუნისტური შრომის მოძრაობაში. სამრეწველო საწარმოთა 1191 ახალგაზრდულ კოლექტივს მიენიჭა ეს საპატიო წოდება. 15 ათასზე მეტი ახალგაზრდა კომუნისტური შრომის დამკვრელია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ განუწყვეტლივ იზრდება მშრომელთა კომუნისტური შეგნება, კვლავ უმჯობესდება სოციალისტური საწარმოო ურთიერთობანი, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპები მშრომელთა ფართო მასების ყოველდღიური ცხოვრების ნორმად გადაიქცა.

დიდი ძალაა ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობაში. მისი შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინერ-მექანიზატორებს. ახალციხის საწარმოო სამმართველოს აწყურის საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდულმა კომკავშირულმა ბრიგადებმა და რგოლებმა მოწინავეთა დონემდე აიყვანეს მეურნეობა. ამ საბჭოთა მეურნეობის ფერმას, სადაც 40 კომკავშირელი მუშაობს, კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება მიენიჭა.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში ყოველდღიურად იზრდება მეცნიერების როლი და სასიხარულოა, რომ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები. პასუხსაგებ სამუშაოზე დაწინაურდა ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი.

სკოლის როლს ახალი ადამიანის აღზრდაში, მასწავლებელთა კადრებთან მუშაობას მიუძღვნა თავისი სიტყვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ვ. ლაშქარაშვილმა**.

რესპუბლიკაში 800 ათას მოსწავლეზე 60 ათასი პედაგოგი მოდის. აქედან უმრავლესობას სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს. უკანასკნელ წლებში უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებსაც. ჩვენი პედაგოგები მეტწილად შემოქმედებითად, სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ საქმეს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი არ მუშაობს თავისი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებაზე, ჰორიზონტის გაფართოებაზე, კმაყოფილდება უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნით. ჩვენ კი საკმაოდ არ ვზრუნავთ მათი აღზრდისათვის, პოლიტიკური წრთობისათვის, მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის.

ნაკლებად ვრცელდება საუკეთესო მასწავლებლების მოწინავე გამოცდილება, კერძოდ, ძველი პედაგოგების გამოცდილება, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ. უნდა გაუმჯობესდეს მასწავლებელთა კადრების მომზადების ხარისხი. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის კავშირის განმტკიცება. შემდეგ ამხ. ლაშქარაშვილმა თქვა, რომ სასოფლო რაიონების პედაგოგებით უზრუნველყოფისათვის საჭიროა უფრო ფართოდ მივიღოთ უმაღლეს სასწავლებლებში ამ რაიონების ახალგაზრდობა. მეტი ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ სოფლის მასწავლებლებისადმი პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ამხ. ლაშქარაშვილი თავის სიტყვაში შეეხო სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობას. ორატორმა მოიყვანა ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის სიტყვები, რომ ვერც ერთი სახალხო სკოლა ვერ დაიმსახურებს ხალხის სიყვარულს, თუ იქ კარგად არ იქნება დაყენებული რუსული ენის სწავლება. რესპუბლიკის სკოლებში რუსული ენის შესასწავლად გამოყოფილია 1600 საათი. ეს არის უფროსი კლასების სასწავლო საათების პროგრამის ნახევრის ნორმა. რუსული ენის სწავლება განუწყვეტლივ უნდა გავაუმჯობესოთ, განსაკუთრებით სოფლად.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს **ვ. პ. მჟავანაძის** საბოლოო სიტყვა.

განხილულ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებას, მათი როლისა და პასუხისმგებლობის გადიდებას იმ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა.

(საქინფ.).

პარტიული ცხოვრება

თელავის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პლენუმი

თელავი. (საქ. კორ.). გაიმართა თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა ამხ. თ. გ. ბადურაშვილი გაათავისუფლა თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ლ. ვარდოშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. შ. ი. ჟანუყვაძემ.

ეკონომიური კონფერენცია მეურნეობაში

მახარაძე. (საქ. კორ.). ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ეკონომიური კონფერენცია მოაწყო.

მეურნეობის დირექტორმა ვ. ჭეიშვილმა თავის მოხსენებაში ვრცლად გააშუქა შრომის ნაყოფიერების ზრდის აქტუალური საკითხები. მან მეურნეობის სინამდვილიდან მოიყვანა პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლების კონკრეტული ფაქტები.

მომხსენებლებმა — მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორმა მ. კონცელიძემ და მთავარმა აგრონომმა ი. სიხარულიძემ ილაპარაკეს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ცალკეულ საკითხებზე.

კონფერენციაზე საყურადღებო საკითხები დააყენეს აგრონომმა თ. წულაძემ, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ნ. გვარამიამ, ბრიგადირმა კ. ბაძგარაძემ და სხვებმა.

პოლიტიკური სწავლების მძლავრი კერა

მეცადინეობა განაახლა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტმა. თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე უნივერსიტეტმა, რომელიც კადრების პოლიტიკური სწავლების მძლავრ კერად გადაიქცა, 3.000-მდე კურსდამთავრებული გამოუშვა.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი საკმაოდ პოპულარული გახდა. აქ თეორიას ეუფლებიან და პოლიტიკური ცოდნის დონეს იმაღლებენ არა მარტო ქ. ქუთაისის, არამედ აგრეთვე მეზობელი ქალაქებისა და რაიონების მშრომელები. (საქ. კორ.).

პლენუმმა განიხილა გაზეთის მუშაობის საკითხი

საქალაქო გაზეთ „ახალი კოლხიდის“ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით — ასეთი იყო პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმის დღის წესრიგის პირველი საკითხი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა გაზეთის რედაქტორი აკ. ტიკარაძე.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ილაპარაკეს გაზეთის მიერ გაწეულ გარკვეულ მუშაობაზე, ამასთან ერთად მათვე გამოთქვეს შენიშვნები და წინადადებანი მისი შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კ. კომახიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური შეურიგებლობა ოპორტუნიზმისადმი

ვ. ი. ლენინის სტატიის „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ გამოქვეყნების 55 წლისთავის გამო

ნახევარ საუკუნეზე მეტია ლენინის ნაწარმოები „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ კომუნისტური და მუშათა პარტიების მძლავრი იარაღია ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იარაღი ეხმარება მსოფლიოს კომუნისტებს ნილები ჩამოჰგლიჯონ იმათ, ვინც, იმოსება რა რევოლუციონერთა სამოსელით, რევიზიას უკეთებს მარქსისტულ მოძღვრებას ყველა მის შემადგენელ ნაწილში — პოლიტიკურ ეკონომიაში, ფილოსოფიაში, მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში. ეყრდნობიან რა ლენინის მითითებებს და დასკვნებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები გამანადგურებელ ლანძღვას სცემენ იმათ, ვინც ახლა გადაუდგა შემოქმედებითს მარქსიზმ-ლენინიზმს.

ცნობილია, რომ მარქსისტული თეორიის შექმნის დროიდან, გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან, საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში უდიდესი რევოლუცია მოხდა. დაინახეს რა პროლეტარიატში ის ძალა, რომელსაც უნარი შესწევს განახორციელოს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა თავიანთი მოძღვრება ნამდვილი მეცნიერების სიმაღლეზე აიყვანეს.

ისევე როგორც ყოველივე ახალი, მოწინავე, მარქსიზმი თვითეული ნაბიჯს თავის გზაზე დგამდა ბრძოლით, მკვიდრდებოდა ყველა ჯურის ოპორტუნიზმთან გაჟფთრებულ ბრძოლაში. ეს ნათლად და დამაჯერებლად გვიჩვენა ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“, რომელიც დაწერილია 1908 წლის მარტში კრებულისათვის „კარლ მარქსი“ (1818-1883)“.

იბრძოდა რა მარქსისტული თეორიის სიწმინდისათვის, ლენინმა გამოაშკარავა ოპორტუნიზმის კლასობრივი ფესვები, მკვეთრად და ულმობლად გააკრიტიკა მისი ლიდერი ბერნშტეინი და სხვა ფსევდორევოლუციონერები, რომლებიც შიგნიდან უთხრიდნენ ძირს პროლეტარიატის დიად მოძღვრებას. მიმართავდნენ რა თავიანთ დარტყმებს მარქსიზმის წინააღმდეგ, რევიზიონისტები აცილიდნენ მას ცოცხალ სულს, რევოლუციურ შინაარსს, უარყოფდნენ ამ ყოვლისმძლე მოძღვრების შემოქმედებითს ხასიათს, მოქმედების სახელმძღვანელოდან აქცევდნენ მას გაყინულ დოგმად.

თავის სტატიაში ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად წერდა: „ის, რასაც ხშირად მხოლოდ იდეურად განვიცდით: დავა მარქსის თეორიულ შესწორებებთან, — ის, რაც ახლა პრაქტიკულად თავს იჩენს მუშათა მოძრაობის მხოლოდ ცალკეული კერძო საკითხების გამო, როგორიცაა ტაქტიკური უთანხმოებანი რევიზიონისტებთან და განხეთქილება ამ ნიადაგზე, — ეს უეჭველად კიდევ უნდა განიცადოს მუშათა კლასმა შეუდარებლად უფრო დიდი მასშტაბით, როცა პროლეტარული რევოლუცია გაამწვავებს ყველა სადავო საკითხს, თავს მოუყრის ყველა უთანხმოებას იმ პუნქტებზე, რომლებსაც მეტად უშუალო მნიშვნელობა აქვთ მასების მოქმედების განსაზღვრისათვის. როცა პროლეტარული რევოლუცია გვაიძულებს ბრძოლის ცეცხლში გამოვყოთ მტრები მეგობრებისაგან, განვდევნოთ ცული მოკავშირეები მტრისათვის გადამწყვეტი ლანძღვის ჩასაცემად“ (თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 15, გვ. 32).

ლენინის ეს სიტყვები შესაძლებლობას გვაძლევს საუკეთესოდ გავიგოთ აზრი და მნიშვნელობა იმ შეურიგებელი ბრძოლისა, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები ეწევიან თანამედროვე რევიზიონისტების წინააღმდეგ, რომელიც უკეთესად მკაფიოდ გამოხატულია ჩინეთის ხელმძღვანელთა გამოშვეული მოქმედებით. როგორც ცნობილია, უკანასკნელები აშკარად გამოდიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეთანხმებული შეხედულებებისა და პოზიციების წინააღმდეგ, სკკპ XX და XXII ყრილობების კურსის და „მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტების წინააღმდეგ.

ეფარებიან რა რევოლუციურ ფრაზეოლოგიას, ჩინეთის ხელმძღვანელები უხეშად და უსაფუძვლოდ სწამებენ ცილს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და სხვა მოძმე კომუნისტურ პარტიებს, მიაჩნიათ თავიანთი თავი თიმქმის ერთადერთ მარქსისტებად, რომლებსაც სწორად ესმით რევოლუციური თეორიის „სიწმინდე“ და იცავენ მას. ნამდვილად კი, გადაუხვიეს რა მარქსისტული დიალექტიკის ძირითად მოთხოვნას — საზოგადოებრივი განვითარების მოვლენათა ანალიზისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას, ისინი მოსწყდნენ შემოქმედებითს მარქსიზმ-ლენინიზმს.

სკპპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილში, საბჭოთა მთავრობის განცხადებებში ღრმად და დამაჯერებლად ნაჩვენებია ჩინელ თეორეტიკოსთა ოპორტუნისტური და დოგმატიკური პოზიცია თანამედროვეობის ყველა ძირითად პრობლემაში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა დაამახინჯეს ომისა და მშვიდობის საკითხების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის როლის, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, პირველების კულტის იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური გაგება.

ჩვენი ეპოქა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაა. სოციალისტური ბანაკის წარმოშობამ, კოლონიური სისტემის რღვევამ და ბევრი ხალხის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ, კაპიტალის ქვეყნებში მუშათა მოძრაობის წარმატებებმა, ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების განმტკიცებამ — ყოველივე ამან ძირეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში. სსრ კავშირში, კომუნიზმის და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობა სოციალიზმის მსოფლიო სისტემას ადამიანთა საზოგადოების შემდგომი განვითარების სულ უფრო გადამწყვეტ ფაქტორად აქცევს.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ეს, მარქსისტულ-ლენინური პარტიები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჩვენი ეპოქის მთავარი წინააღმდეგობაა სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის წინააღმდეგობა. ამ დასკვნის წინააღმდეგ ამხედრდნენ ჩინელი რევიზიონისტები. მათ განაცხადეს, რომ პროლეტარული რევოლუციის საქმე საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლაზე. წამოაყენეს რა ასეთი თეორია, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა სავსებით დაივიწყეს ის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული გამარჯვებების და მისი მხრივ ამ მოძრაობისადმი დახმარების მეოხებით, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის მეოხებით, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ შეიცვალა, შესაძლებელი გახდა მოვლენებით იმპერიალისტების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ მათი მტაცებლური ბუნება უწინდელი დარჩა. სოციალისტური ბანაკის განუწყვეტელივ მზარდ უპირატესობასა და ხალხთა მასების ბრძოლაზე დაყრდნობით მშვიდობის ძალებს შეუძლიათ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მთელ დედამიწაზე ახალი საზოგადოებრივი წყობილება გაიმარჯვებდეს, თავიდან აიცილონ მსოფლიო ომი.

საწინააღმდეგო აზრისა არიან რევიზიონისტები და დოგმატიკოსები ჩინეთის კომუნისტური პარტიიდან. გადაუხვიეს რა შემოქმედებითს მარქსიზმ-ლენინიზმს, მათ მიაჩნიათ, რომ, სანამ იმპერიალიზმი არსებობს, შეუძლებელია მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილება. ჩინეთის ხელმძღვანელთა აზრით, მშვიდობიანი თანაარსებობა დათმობაა საერთაშორისო რეაქციისადმი. მშვიდობიან თანაარსებობას თითქოს შეუძლია შეაფერხოს მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ, შეაფუსუტოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამრიგად, პეკინელი თეორეტიკოსების რევიზიონისტულ ლოგიკას რომ მივყვეთ, გამოდის, რომ იმპერიალიზმის მოსპობის გზა მხოლოდ თერმოტომურ ომზე გადის. მათი ამ საშიში თვალსაზრისის თვალსაჩინო ილუსტრაცია იყო კარიბის კრიზისის დროს მათ მიერ დაყენებული პოზიცია; ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების წინააღმდეგ; განიარაღებისათვის ბრძოლისადმი წინააღმდეგობა; საკუთარი ატომური ბომბის მფლობელებად გახდომისადმი მისწრაფება.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, ხოლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ერთადერთი ფორმაა პოლიტიკისა, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმის ინტერესებს შეეხამება. ასეთი პოლიტიკა ყოველმხრივ უწყობს ხელს პროლეტარული რევოლუციების გამარჯვებებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას, სოციალისტური სისტემის გადაქცევას ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად.

რევიზიას უკეთებენ რა მარქსიზმ-ლენინიზმს, კომუნისტური მოძრაობის გენერალურ ხაზს, ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ თავს მოახვიონ საერთაშორისო მუშათა კლასს და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თეორია რევოლუციის „ნაბიჯგადებისა „რევოლუციური ომების“ შემწეობით. ამასთან ისინი უგულებელყოფენ ამა თუ იმ ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის არსებობის საკითხს, არ ითვალისწინებენ საერთაშორისო ვითარებას. ამით გამოიშვერება ჩინეთის კომუნისტური პარტიიდან არღვევენ ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ რევოლუციის გარედან ექსპორტირება არ შეიძლება; რევოლუციის მოხდენა თვითეული ქვეყნის მშრომელთა შინაგანი საქმეა.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმი ემყარება იმას, რომ ბრძოლა სხვადასხვა ფორმები არსებობს. იმპერიალიზმისადმი გადაჯაჭვა, რევოლუციის მოხდენა მხოლოდ იმ რევოლუციურ ძალებს შეუძლიათ, რომლებიც ობიერიანად ცდილობენ ამ ფორმებს — როგორც მშვიდობიანს, ისე არამშვიდობიანს, უნარიანად იყენებენ [illegible] — [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

გმირობის დიდი მატიანე

კინო

„ოპტიმისტური ტრაგედია" თბილისის ეკრანებზე

მაისის მცხუნვარე დღეა, სამხრეთ საფრანგეთის საკურორტო ქალაქ-კანის პალმებითა და მარადმწვანე ხეებით დაჩრდილული ქუჩები, ლაჟვარდოვანი სანაპირო და საგანგებოდ მოწყობილი პლაჟები მეთექვსმეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე დასასწრებად ჩამოსული ხალხით არის სავსე. აქ არიან მსოფლიოს გამოჩენილი კინოვარსკვლავები, სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფიის მუშაკთა დელეგაციები, მოწვეული სტუმრები, სპეციალური კორესპონდენტები, კინოგამქირავებელი ფირმების წარმომადგენლები და სხვანი, მრავალი პროფესიისა და მოწოდების ადამიანები.

ფესტივალზე წარმოდგენილ ფილმებში „ოპტიმისტური ტრაგედია" გამოირჩეოდა თავისი თემატიკით, მასალის სიახლით, გამომსახველ საშუალებათა თავისებურებით, მონუმენტალობით, გრანდიოზული მასშტაბით. ფილმი დაჯილდოებულ იქნა სპეციალური პრემიით „რევოლუციური ეპოპეის უკეთესი შესრულებისათვის".

ამ წარმატებამ ფილმს ფართო გზა გაუხსნა მსოფლიოს ეკრანებისაკენ.

ცნობილია, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთმა გამოჩენილმა დრამატურგმა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ ოცდაათიან წლებში, მაშინ როცა „ოპტიმისტური ტრაგედია" ახალი დაწერილი ჰქონდა, უარი განაცხადა პიესის სცენარად გადაკეთებაზე და რეჟისორ ე. ძიგანს ამავე თემაზე დაწერილი ახალი ორიგინალური სცენარი („ჩვენ კრონშტადტიდან ვართ") შესთავაზა. ფილმი გადაღებულ იქნა. მისი ადგილი საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაში თვალსაჩინოა, ხოლო აღმზრდელობითი მნიშვნელობა — სამაგალითო.

საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლა ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკის დასაცავად, ერთიანი დარაზმულობა და გმირული შემართება ოქტომბრის დიდი მონაპოვრის შესანარჩუნებლად მთელი თავისი შინაარსითა და თავისებურებით მუდამ იყო და დარჩება საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო და საყვარელ თემად. ასეთია „ჩაპაევი", „შჩორსი", „ბალტიკის დეპუტატი", „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ" და საბჭოთა კინოხელოვნების სხვა კლასიკური ნაწარმოებები. „ოპტიმისტური ტრაგედია" უდავოდ აგრძელებს ამ გზას.

ფილმის სცენარის ავტორები ს. სამსონოვი და ს. ვიშნევეცკაია, დამდგმელი რეჟისორი ს. სამსონოვი ვ. ვიშნევსკის პიესის კინემატოგრაფიული ინტერპრეტაციისას შეეცადნენ ორიგინალური გზით წასულიყვნენ, მაგრამ ერთგვარ გავლენას „კრონშტადტისას" მაინც ვერ ასცდნენ. ამ გავლენის ერთგვარ გამოხატულებად მიგვაჩნია ფილმის საერთო კომპოზიციური აღნაგობა, მხატვრული გამომსახველი საშუალებების ზოგიერთი მომენტი. როგორიც არის, მაგალითად, კადრში მიმდინარე მოქმედებათა დიაგონალური განლაგება, ხშირად გამოყენებული შორეული პლანები ბატალური სცენების მონუმენტალობის გადმოსაცემად და სხვ. გარმონთან დაკავშირებული მუსიკალური მომენტებიც კი, სადაც თავის საწყისში, „კრონშტადტში" კარგად დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი „გიტარის" მუსიკალურ მომენტებს უკავშირდება. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ამცირებს ფილმის ღირსებას. კარგი გავლენა ზოგჯერ ნაწარმოების ღირსებად ითვლება.

მთავარი ღირსება ფილმისა კი მისი ღრმა ემოციურობა, ერთი სუნთქვით გადმოცემული დიდი რევოლუციური პათოსია. ფილმს არა აქვს მძლავრი დრამატურგიული ღერძი მოვლენათა განვითარებისათვის, ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, არა აქვს კონფლიქტებით აღსავსე სიტუაციები ამ მცნების ტრაფარეტული გაგებით, მაგრამ მაყურებელი სუნთქვაშეკრული უცქერის მის მსვლელობას პირველი, ექსპოზიციური კადრებიდან ფინალურ სცენებამდე.

კონფლიქტის ძირითად საყრდენს წარმოადგენს საბჭოთა ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რეაქციულ ძალებთან. მოქმედების განვითარების ძირითადი სტიმული ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი ხასიათების მრავალფეროვნებითა და თვისებებით გამოწვეული შეჯახებებია. ერთი მხრივ, კომისარი და მისი ახლობელი კომუნისტები, მეორე მხრივ, ალექსეი, სიპლი, ვოჟაკი და სხვა ბუნტარული სულის ანარქისტები — აი სახეები, რომელთა ბედი აღელვებს მაყურებელს.

დიდი შინაგანი მღელვარებითა და ემოციურობით იძლევა რეჟისორი ამ რთულ სახეთა ექსპოზიციას. აბობოქრებული ზღვის, მთისოდენა ზვირთების ფონზე გამოსახული ორი მეზღვაური და მათ იქით, თითქოს ზღვის ფსკერიდან ამოზიდული, მეზღვაურთა სტატიური სახეები. ეს სურათი, რომელიც დიდი ოსტატობით არის შესრულებული და მხატვრული პანოს პრინციპზეა აგებული, თვალსაჩინოდ გვიხატავს ამ ზღვის ტალღებივით შეუპოვარ, აბობოქრებულ გმირთა სახეებს.

გარდა ამისა, ფილმში შეუფერადებლად და დიდი სიმართლით წარმოდგენილია ეპოქის რეალური ვითარება, მოვლენათა როგორც ტრაგიკული, ისე ოპტიმისტური სურათები. თვითეული სცენიდან, თვითეული ეპიზოდიდან მთელი სისრულით მოდის გარდასულ დღეთა ემოციური შეგრძნება, მისდამი დიდი პატრიოტული სიყვარული.

განსაკუთრებით ძლიერია ფინალური სცენა „კომისრის სიკვდილი". ეს სცენა, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა სცენა ფილმში, ცოტა თეატრალურ ელფერს ატარებს, მაგრამ შეუწყვეტელი ჰორიზონტალური და ვერტიკალური პანორამებით, ცენტრში დასვენებული კომისრის ფონზე თითქოს საპატიო ყარაულში მდგომი მეზღვაურების სახეების ჩვენებით, სადაც ფილმის ექსპოზიციური ნაწილის მოტივები მეორდება, რეჟისორი ახერხებს შექმნას ღრმა იდეურობისა და მხატვრული სიძლიერის ეპიზოდი, რომელიც თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ჰიმნად ჟღერს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ოპერატორ ვ. მონახოვის ხელოვნება, მისი მხატვრული ალღო რევოლუციური ბრძოლების სტილის შესაფერი გამომხატველი საშუალებების ძიებისას, მხატვრულად სრულყოფილი პორტრეტების გვერდით მაღალი ოსტატობით გადაღებული შორეული პლანები, ზღვის სივრცეები, ბატალური სცენები.

მსახიობებმა ბ. ანდრეევმა (ვოჟაკი), ვ. სანაევმა (სიპლი), ვ. ტიხონოვმა (ალექსეი) და სხვებმა შექმნეს სხვადასხვა ხასიათის, დიამეტრიულად საწინააღმდეგო ხასიათების მქონე მეზღვაურთა დასრულებული სახეები, სახეები ადამიანებისა, რომლებიც ძნელი, მაგრამ მართალი გზით მიდიან რევოლუციისაკენ, ახალი ცხოვრების მშენებლობისაკენ.

ფილმის ცენტრალური ფიგურა მაინც კომისარია, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი მარგარიტა ვოლოდინა განასახიერებს.

კანში, პრეს-კონფერენციაზე ერთმა ჟურნალისტმა იკითხა: „ნუთუ რუსეთში არსებობდა ისეთი მამაცი, გმირი ქალი, როგორიც კომისარია ფილმში „ოპტიმისტური ტრაგედია?". მან უპასუხეს: „თუ არსებობდა საფრანგეთში ჟანა დარკი, რატომ არ შეიძლებოდა რუსეთში ყოფილიყვნენ კომისრის მსგავსი ქალები? დიახ, იყვნენ...".

სამოქალაქო ომის პერიოდში ჩვენმა ქალებმა მამაკაცებზე ნაკლები როლი როდი შეასრულეს. ცნობილია მათი თავდადებული ბრძოლა და საგმირო საქმეები. მ. ვოლოდინა ძირითადად დამაჯერებლად გვიხატავს იმდროინდელ საბჭოთა გმირი ქალების შემკრებ სახეს. სრული ბუნებრიობითა და აქტიორული გათამაშების გამოუყენებლად გადმოგვცემს იგი მეტად რთულ პირობებში მოხვედრილი, საკუთარ თავში დარწმუნებული, მაღალი ნებისყოფის, გონიერი პარტიული მუშაკის შინაგან სამყაროს, მისთვის დამახასიათებელ როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ ხასიათს.

კარგია ვ. დეხტერევის მუსიკა, განსაკუთრებით ხალხურ მოტივებზე შექმნილი მუსიკალური ნაწილი, რომელშიც შეუპოვარი ძალა და გამარჯვების დიდი რწმენაა გამოხატული.

ფილმმა „ოპტიმისტური ტრაგედიის" იდეურ-მხატვრული წარმატება როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ ეკრანებზე ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა წარსულ საგმირო იდეათა ამსახველი ფილმები, თუ რა ვალში არიან ჩვენი კინომუშაკები მაყურებლების წინაშე ამ სახის ფილმების შექმნის მხრივ.

კარლო გოგოძე.

სურათზე: კადრი ფილმიდან — „ოპტიმისტური ტრაგედია"; ცენტრში — კომისარი (მსახიობი მ. ვოლოდინა).

რატომ ღელავ, ზღვაო

ფელეტონი

— მე ვარ პოეტი! — მითხრა სასტუმროში ჩემმა კარის მეზობელმა.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს...

— მე მწერალიც ვარ...

— უკურე შენ!... — ვთქვი მე და შევწუხდი.

მზეზე ადრე დასანახიო — ამბობს ხალხი მეზობელზე და ბუნებრივია, რომ მე, პრაქტიკოს კაცს, არაფრად მეჭაშნიკებოდა ამ თვალებდასიებული პოეტის მეზობლობა.

— საწყალი, ალბათ მთელი ღამე წერს! — გავიფიქრე, მეორე დილას მართლა მზეზე ადრე რომ შემეფეთა დერეფანში.

— მეგობარო, ბორჯომი ხომ არ გექნება...

— არა, ბატონო...

საცოდავი, ალბათ კუჭს უჩივის, — გავიფიქრე:

— სად მიხვალ, კაცო, ამ უთენია?

— ზღვაზე.

— ჰემინგუეი ხომ არა ხარ, რა გინდა, კაცო, ზღვაზე...

— „ზღვა იყო ისე წყნარი და ნაზი, რომ აღარც მახსოვს იყო თუ არა"... იცი, ვინ დაწერა?.. არ იცი, ხომ?..

— მოდი, კაცო, აქ შემოდი, ჩემს ოთახში! — მიმიწვია მეზობელმა. „ახლა დავიღუპე, ლექსების კითხვას დამიწყებს", — გავიფიქრე და გაუბედავი ნაბიჯით შევედი ოთახში.

ასე მეგონა, ჩვენი ქარხნის მზა პროდუქციის საწყობში ამოვყავი თავი.

ღვინის ბოთლებით სავსე იყო ოთახი... ახალ ჩამოსხმულ რვა ნომერს რომ მოვკარი თვალი, ცოტა მეც შემიჩქროლდა გული.

— კაცო, ერთი ზღვაზე გასვლა ვერ მოვახერხე, — თქვა პოეტმა და წამოიწყო: „ო, მორე... ო... მორე... მორე"...

„მთვრალია ეს ცოდვის შვილი!" — აღმოვაჩინე მე და გამეხარდა.

— შენ რა პროფესიის კაცი ხარ, თუ ძმა ხარ?

მე ამაყად გადავავლე თვალი ოთახს და მივუგე:

— მეღვინე!..

— ვა!!. შენ გენაცვალე, ბიჭო!.. მერე ფეხზე დგეხარ?!

— ნება მომეცით ამ სასმისით... — დაიწყო მან. პირველად მეგონა ლექსს ამბობდა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ჩემს სადღეგრძელოს სვამდა და მეც თავმდაბლად მივირთვი სამადლობელი.

— დაჯექი, კაცო, ის ზღვა არსად გაგექცევა... ამ უთენია ზღვის დროა?!.

დედმამიშვილების, მეგობრების, სამშობლოს (ორი ჭიქით), წარსულის (ვახტანგურად, სიმღერის მიყოლებით) და სხვ. დაილია, ზოგი ფეხზე ადგომითა და ზოგიც სხვადასხვა მდგომარეობაში.

სწორედ ამ დროს შემოაღო კარი ორმა კაცმა. მე უკვე „კარგად" ვიყავი (პოეტი დამუნჯდა), მოვიწვიე ისინი და შევძახე:

— ძმებო, ყველაფერ კარგს შეესწარით! შემოსასწრები — ეს დიდებული სადღეგრძელოა, ტრადიციული, ქართული და დიდად მნიშვნელოვანი. თქვენ ხართ ძვირფასი ადამიანები... თქვენი სახელები მაჩუქეთ!

— სერგო და გრიშა!

— გრიშა და სერგო, სერგო და გრიშა!.. — ვთქვი მე და ჭიქას ტუჩი შევუშვირე.

მალე ჩვენი სასტუმროს ნომერი კატეგორიით ქანაობდა.

უეცრად პოეტმა დაძაბა მთელი ენერგია და მე მომმართა:

— გამოჩენილმა მწერალმა... პავლენკომ... მეღვინეებს პოეტები უწოდა... ღვინო რომ არ იყოს, არც პოეტები იქნებოდა ასე თავზესაყრელად...

— ხვალ ჩემი სტუმრები ხართ! — წასვლისას ანდერძივით დამიბარა გრიშამ.

სოხუმში არის ერთი ერთობ მრავლისმთქმელი რესტორანი — „ამრა! — „მზე".

და მეორე დღეს ჩვენც „ამრაში" ვიყავით მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე.

— ბახმაროზე არის „მზის ამოსასვლელი" მთა! — თქვა ბოლოს სერგომ, რომელიც იქ ნამყოფი იყო!..

მესამე დღეს „რიწაში" მე დავპატიჟე მეგობრები. აქ სხვათა შორის წამოიჭრა საკითხი გვენახა ამავე სახელწოდების ტბაც და მეორე დღეს რიწის ტბის რესტორანიდან ერთი-ორჯერ კიდეც გადავხედეთ ტბას...

[illegible] წინადადებით იმერაში ამოვყავით თავი. იმერა სოხუმსა და [illegible] რესტორანია. [illegible] საჭირო: ერთი ფაცხაში საქეიფოდ, მეორე — ვერანდაზე და მესამე — გამოქვაბულში. ჩვენ აქ მოგვეწონა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ შესცდა პირველყოფილი ადამიანი, როცა გამოქვაბულიდან გამოვიდა საცხოვრებლად!

...თანდათან გაიზარდა ჩვენი მეგობრების წრე. მოგვემატნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. სხვათა შორის ერთი ექიმიც იყო, რომელიც მხოლოდ არაყს სვამდა, ღვინო მასუქებსო!

მალე გაგრაში რომ რესტორანია — „გაგრიფში", საცდელ-საჩვენებელი ქეიფი ჩავუტარეთ დამსვენებლებს (ანუ ქეიფი რესტორანის კარების გაღებიდან დახურვამდე).

ახალი რესტორანი „დიოსკურია" ჩვენთვის ისეთივე დიდი აღმოჩენა იყო, როგორც წყალქვეშა ქალაქი...

ზღვა კი... ზღვა კი ღელავს... და ბობოქრობს...

რას ღელავს... რა უნდა... ჩვენზე თუ მოსდის გული, ჩვენ შვებულებაში ვართ, ძმაო...

... ასე გაიარა 28 დღემ.

რა სჯობს ზღვაზე ყოფნას, მით უმეტეს, თუ კარგი კამპანია შეგხვდა!

ცოტა კი დავიქანცე, მაგრამ... ჩავალ თბილისში, ვთხოვ ჩემს დირექტორს მივლინებას, წავალ სადმე ერთი კვირით და ცოტას დავისვენებ...

რ. დვალიშვილი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

გასინჯეთ თქვენი ობლიგაციები

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 95 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. ლენინგრადში 1963 წლის 30 სექტემბერს

მოგება ხვდა სესხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000455	07*)	500	033533	1—50	40	068113	1—50	40
000761	1—50	40	034237	48*)	500	069540	06*)	500
001045	18*)	1.000	034830	03*)	500	069819	03*)	1.000
001067	1—50	100	034868	11*)	500	069826	21*)	500
001234	30*)	500	035232	1—50	40	071318	21*)	500
001392	1—50	100	035607	30*)	1.000	071576	44*)	500
002136	35*)	1.000	035685	21*)	500	071793	1—50	100
003701	08*)	2.500	036822	1—50	40	071799	1—50	40
004703	1—50	100	037039	1—50	40	072476	49*)	500
004910	10*)	1.000	038937	18*)	500	072531	11*)	500
005790	35*)	500	039237	1—50	40	072861	1—50	40
006086	08*)	500	039410	24*)	500	072993	03*)	500
006564	1—50	40	039883	06*)	1.000	073564	1—50	40
007247	03*)	500	041190	19*)	500	074197	05*)	500
007428	1—50	40	041377	05*)	1.000	074360	45*)	500
008768	1—50	100	041706	1—50	40	074570	09*)	500
009183	1—50	100	041794	01*)	500	074934	1—50	40
010759	07*)	500	042800	45*)	500	074947	21*)	2.500
010927	18*)	500	043148	01*)	500	075388	48*)	500
011557	1—50	40	044668	30*)	500	075578	25*)	500
011667	29*)	500	046696	1—50	40	075585	08*)	1.000
012328	1—50	40	046758	10*)	500	076299	43*)	5.000
013403	10*)	1.000	047589	34*)	500	077395	1—50	40
013464	1—50	40	048002	14*)	500	078401	13*)	500
014451	1—50	40	048326	44*)	500	079551	12*)	1.000
014922	32*)	500	049255	17*)	500	079806	39*)	500
015467	1—50	40	049329	28*)	500	079833	33*)	500
016246	28*)	500	049454	15*)	500	080242	02*)	1.000
018334	1—50	40	050308	29*)	2.500	080793	46*)	500
019103	12*)	500	051268	1—50	40	081533	1—50	100
019183	20*)	1.000	052853	09*)	500	083241	1—50	40
019209	1—50	100	054157	17*)	1.000	084551	16*)	500
019237	1—50	100	054240	1—50	40	086382	1—50	40
019263	1—50	100	055005	26*)	1.000	088113	30*)	500
019556	1—50	40	055438	38*)	1.000	088997	01*)	500
020146	15*)	2.500	055899	12*)	1.000	090236	40*)	500
020165	18*)	500	056591	1—50	40	090289	1—50	100
020368	21*)	500	056881	42*)	500	090434	09*)	500
021475	1—50	40	057302	38*)	500	091028	31*)	500
021508	1—50	40	057811	1—50	40	092293	07*)	500
021834	05*)	500	058686	08*)	500	092748	12*)	1.000
022139	34*)	500	059844	46*)	1.000	092878	1—50	40
022446	50*)	500	060738	39*)	5.000	092922	1—50	40
022603	28*)	1.000	061510	29*)	500	093511	33*)	2.500
024207	1—50	40	061989	45*)	500	094055	47*)	1.000
025388	08*)	500	062098	1—50	40	094443	30*)	500
025395	48*)	1.000	062781	19*)	1.000	094496	27*)	500
025683	1—50	100	063569	42*)	500	094869	1—50	40
025689	49*)	500	063604	1—50	40	095778	1—50	40
026031	1—50	40	063772	1—50	40	096053	39*)	500
027647	41*)	1.000	065295	1—50	40	096611	41*)	500
029279	1—50	100	065576	1—50	40	096925	02*)	500
030680	25*)	500	065598	44*)	500	098844	1—50	40
030723	05*)	1.000	065822	45*)	500	099165	31*)	500
030905	39*)	1.000	066999	1—50	100	099231	35*)	500
031567	45*)	500	067819	05*)	500	099439	06*)	500
031978	42*)	500	068024	1—50	40			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში აღნიშნულია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.
ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.
ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ევლამპიევი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-16 დამატებითი ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. ლენინგრადში 1963 წლის 30 სექტემბერს

მოგება ხვდა სესხის თექვსმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000367	45*)	1.000	034005	1—50	40	066111	1—50	40
000834	30*)	1.000	034539	07*)	1.000	066934	1—50	40
001729	14*)	1.000	035260	1—50	100	067492	03*)	1.000
001854	46*)	1.000	035958	1—50	40	067823	1—50	100
002073	33*)	1.000	036581	1—50	40	067974	10*)	1.000
002550	1—50	100	036695	49*)	1.000	068063	1—50	40
003072	16*)	1.000	036753	1—50	40	069479	30*)	2.500
003964	1—50	500	037011	28*)	1.000	069589	40*)	1.000
005225	31*)	1.000	037231	1—50	100	070240	06*)	2.500
006206	44*)	2.500	037268	1—50	40	071014	1—50	100
006881	14*)	1.000	037764	1—50	500	071315	31*)	1.000
007151	34*)	1.000	038023	1—50	100	071426	1—50	40
008023	1—50	100	039428	24*)	1.000	071784	1—50	40
008484	1—50	100	039484	1—50	40	072551	1—50	40
008640	33*)	1.000	039491	1—50	100	072831	18*)	1.000
009997	1—50	40	039957	1—50	40	073083	33*)	1.000
010906	12*)	1.000	040078	46*)	2.500	073222	1—50	40
010973	1—50	40	040179	1—50	500	073383	34*)	2.500
011241	1—50	40	040233	1—50	100	074181	13*)	1.000
011623	32*)	1.000	040820	05*)	1.000	075168	49*)	1.000
011655	1—50	500	041689	26*)	1.000	075756	47*)	1.000
013055	1—50	100	041912	31*)	1.000	075905	20*)	1.000
014383	1—50	40	042349	1—50	500	076160	47*)	1.000
015367	50*)	1.000	042827	25*)	1.000	076207	26*)	1.000
015641	47*)	1.000	043112	36*)	2.500	076492	46*)	1.000
016337	1—50	40	043501	50*)	1.000	076798	1—50	40
016601	50*)	1.000	044397	37*)	1.000	076900	1—50	40
017205	1—50	100	046436	06*)	1.000	077194	1—50	100
017345	1—50	500	046459	31*)	2.500	077791	1—50	40
017607	43*)	2.500	046532	45*)	1.000	077846	12*)	1.000
017690	1—50	40	047036	14*)	1.000	078332	1—50	100
018079	1—50	40	047791	05*)	1.000	078471	1—50	100
018323	1—50	40	047867	03*)	10.000	078938	1—50	100
018552	1—50	100	048071	1—50	40	078968	1—50	500
018895	1—50	40	048169	1—50	40	079515	1—50	40
019479	1—50	100	048266	1—50	40	079548	1—50	100
021037	1—50	500	048303	26*)	2.500	080574	1—50	40
021044	20*)	1.000	050060	1—50	100	080701	1—50	40
021050	1—50	40	050214	38*)	1.000	081203	1—50	100
021308	1—50	100	050374	1—50	40	081225	1—50	40
021377	1—50	40	050694	1—50	500	081384	1—50	100
021848	37*)	2.500	051335	41*)	1.000	081707	1—50	40
022086	1—50	40	052759	10*)	2.500	082526	1—50	40
022100	1—50	40	052872	1—50	100	082645	02*)	1.000
022503	50*)	2.500	053031	1—50	100	083867	1—50	100
022553	34*)	5.000	053110	24*)	1.000	085771	1—50	500
022760	09*)	1.000	053461	1—50	40	086250	23*)	1.000
022795	12*)	1.000	053769	1—50	100	086791	1—50	40
022798	1—50	100	053945	1—50	100	086825	1—50	40
023340	1—50	100	054032	36*)	1.000	088905	34*)	5.000
023680	1—50	100	054253	1—50	500	089300	1—50	40
024070	19*)	2.500	054291	1—50	40	090049	1—50	500
024314	41*)	1.000	055186	1—50	100	091785	1—50	100
024654	45*)	1.000	055211	1—50	40	092340	1—50	500
024972	1—50	100	055394	1—50	40	092459	1—50	100
025001	06*)	1.000	056709	27*)	2.500	092606	08*)	1.000
025267	48*)	5.000	056839	1—50	40	092921	07*)	2.500
025454	1—50	40	057673	41*)	2.500	093121	13*)	1.000
025555	1—50	100	058603	12*)	1.000	093709	12*)	1.000
026149	1—50	100	058914	1—50	40	093870	1—50	40
026906	1—50	500	058987	1—50	40	094035	23*)	1.000
026992	20*)	2.500	059195	27*)	2.500	094190	03*)	1.000
027210	18*)	1.000	059205	32*)	1.000	094314	1—50	100
027621	32*)	1.000	059659	48*)	1.000	095929	1—50	100
027630	40*)	1.000	059722	27*)	1.000	096086	1—50	500
027875	1—50	100	060949	30*)	2.500	096274	17*)	1.000
028613	20*)	1.000	061059	14*)	1.000	096994	28*)	1.000
028640	1—50	40	061387	25*)	1.000	097239	14*)	2.500
029524	43*)	1.000	061610	1—50	100	097280	23*)	1.000
029710	45*)	1.000	062030	1—50	40	098749	50*)	2.500
030352	01*)	5.000	062171	24*)	1.000	099108	02*)	2.500
031662	1—50	100	062474	13*)	1.000	099128	01*)	2.500
031694	1—50	100	062521	1—50	40	099344	04*)	5.000
031953	47*)	1.000	064260	39*)	2.500	099675	1—50	100
033430	1—50	500	064455	1—50	40	099859	1—50	40
033797	05*)	2.500	065266	33*)	1.000	099913	32*)	1.000
033960	1—50	100	066060	1—50	100			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

მე-16 დამატებითი ტირაჟის მოგებანი გაიცემა იმ ობლიგაციებზე, რომლებსაც ზედ აქვთ № 16 ტალონი. იმ ობლიგაციაზე, რომელსაც № 16 ტალონი არა აქვს, მეთექვსმეტე დამატებითი ტირაჟის მოგება არ გაიცემა. ასეთი ობლიგაცია დაიფარება ნომინალური ღირებულების გაცემით.

ცხრილში აღნიშნულია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.
ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.
ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველი სალაროები გასცემენ მოგებას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ევლამპიევი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

კომუნისტი სპორტი

სამბისტების ოქროს მედლები

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის პირადი პირველობა ჭიდაობა „სამბოში".

წონითი კატეგორიების მიხედვით ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: უმჩატეს წონაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვ. სავჩენკომ (საბჭოთა არმია), ვერცხლის მედალი — ბ. კორნიუშინმა (საბჭოთა არმია), ბრინჯაოსი — ლ. კაციაშვილმა („კოლმეურნე"). ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონი გახდა ა. ილიუშინი (საბჭოთა არმია), მეორე ადგილზეა ო. სტეპანოვი (საბჭოთა არმია), მესამეზე — ბ. მარტყოფლიშვილი („დინამო").

ქვესაშუალო წონაში ოქროს მედალი და ჩემპიონის ტიტული ხვდა ზ. მუხიაშვილს („დინამო"), ვერცხლის მედალი მოიპოვა ს. ჩიტაშვილმა (საბჭოთა არმია), ბრინჯაოსი — ა. ფუხაშვილმა („დინამო"). ქვემძიმე წონით კატეგორიაში წარმატებას „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა მიაღწიეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ა. იუდინი, მეორე ადგილზე გამოვიდა ა. ზურაბაული, მესამეზე — კ. რომანოვსკი.

სურათებზე: სსრ კავშირის 1963 წლის ჩემპიონები ჭიდაობა „სამბოში" (მარცხნიდან) — ვ. სავჩენკო, ა. ილიუშინი, ზ. მუხიაშვილი, ა. იუდინი.

ფოტო ვლ. ჰინზბურგისა.

ა. მეტრეველი „დინამოს" ჩემპიონი

თბილისში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" საკავშირო პირველობა ჩოგბურთში. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს გაიმართა სამი ფინალური შეხვედრა. ქალთა შორის ჩემპიონობას ერთმანეთს თბილისელი ნ. თუხარელი და უკრაინელი გ. ბაკშეევა ეცილებოდნენ. გაიმარჯვა გ. ბაკშეევამ (6:1, 6:2) და ჩემპიონობა მოიპოვა. შერეულ წყვილთა შორის ბაკშეევა-ლეიუსმა დაამარცხეს ტიტოვა-სივოხინის დუეტი (6:4, 6:4) და პირველი ადგილი დაიკავეს.

დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა ვაჟთა ფინალი ა. მეტრეველსა და ვ. ეგოროვს შორის. თავიდან ქართველი ჩოგბურთელი დაწინაურდა და ადვილადაც მოიგო ორი პარტია, მესამე და მეოთხე პარტიაში ეგოროვმა გაიმარჯვა.

ყველაფერს მეხუთე გადამწყვეტი პარტია წყვეტდა. ანგარიში ეგოროვმა წაიყვანა, მაგრამ ა. მეტრეველმა ბრწყინვალე საბრძოლო თვისებები და მაღალი ტექნიკა გამოამჟღავნა, მოიგო ეს ძნელი ორთაბრძოლა (6:2, 6:4, 2:6, 8:10, 7:5) და „დინამოს" ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

კონტინენტის პირველობაზე

ვროცლავში (პოლონეთი) ევროპის პირველობაზე კალათბურთში საბჭოთა გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მესამე ტურში ჩვენმა კალათბურთელებმა ანგარიშით 76:52 დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

მატჩები და შედეგები

კვირას და ორშაბათს გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებს შორის.

ლენინგრადში ადგილობრივი „დინამოსა" და ტაშკენტის „პახტაკორის" შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ 0:0.

როსტოვის არმიელებმა თავის მოედანზე მშრალი ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ალმა-ატის „კაირატი".

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" ლენინგრადში წააგო მატჩი „ზენიტთან" — 1:2.

ხარკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „ავანგარდი" და ბაქოს „ნეფტიანიკი". მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ლიდერის კვალდაკვალ

სპლიტში (იუგოსლავია) ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გათამაშდა მეთორმეტე ტურის პარტიები. საბჭოთა გუნდმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა პოლონელი მოჭადრაკეები. წარმატებით გამოდის პირველ დაფაზე მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. მას აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვს დღეისათვის. ათი ნათამაშევი პარტიიდან ათი ქულა — მართლაც საჭადრაკო დედოფლის ხელწერაა.

ლიდერებს კვალდაკვალ მისდევენ იუგოსლაველები, მეთორმეტე ტურში მათ ავსტრიელები დაამარცხეს — 2:0. ახლა საბჭოთა გუნდს 23 ქულა აქვს, იუგოსლავებს — 22.

სპორტული ქრონიკა

□ **მოკავშირე** რესპუბლიკათა „ბ" კლასის I ზონის ლიდერმა ბათუმის „დინამომ" ანგარიშით 3:2 მოუგო რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელებს. II ზონის ლიდერმა თბილისის „ლოკომოტივმა" დამარცხება განიცადა უსტ-კამენოგორსკში ადგილობრივ „ვოსტოკთან" — 0:1.

□ **სპორტსაზოგადოება** „ბურევესტნიკის" ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა პოლონეთში კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართა. ქ. ვროცლავის ნაკრების წინააღმდეგ საბჭოთა ხელბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 27:16. რვა ბურთი ჯ. ცერცვაძემ გაიტანა. ქ. კატოვიცეს „სპარტაკთან" კი დამარცხდნენ 9:11.

□ **სსრ კავშირის** ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ქ. ხიროსიმაში დამარცხება განიცადა იაპონიის ნაკრებთან შეხვედრაში 0:3.

□ **ამხანაგური** მატჩი იუგოსლავიისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის მოიგეს იუგოსლავებმა — 2:0. ეს პირველი შემთხვევაა ამ გუნდების შეხვედრათა ისტორიაში, როდესაც იუგოსლავებმა თავის მოედანზე შესძლეს დაემარცხებინათ უნგრელები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

9 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის — სასწაულმოქმედი (22-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩვეულებრივი სასწაული (მე-10 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **ოფიცერთა სახლი** — დანაშაული და სასჯელი, **ფილარმონიის საზაფხულო**—კამერული კონცერტი „კონცერტ კლარიონს" [illegible]

ტელევიზია

9 ოქტომბერი

12.00 — კინონარკვევი — „სტარტზეა 10 მილიონი", 12.20 — მხატვრული ფილმი „კერპი", 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ზაქარია ფალიაშვილი", 18.30 — საუბარი — „რაიონული საბჭოების მუდმივმოქმედი კომისიები" (სტუდიაში კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი გაფრინდაშვილი), 18.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდული საქმეები", 19.30 — კონცერტი. კონცერტის შემდეგ ახალი ამბები.

კინო

8 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი ისანი** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — მეამბოხე. **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი**—სამგულიანი მედალიონი, **თბილისი, ისანი** (საზაფხულო) — თავზეხელაღებული მძღოლები, **კომკავშირელი** — შესანიშნავი შვიდეული, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ვაკის პარკი** — ეშელონი სამოთხიდან, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო), **კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი** — ყველაზე ნელი მატარებელი.

რადიო

9 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — მუსიკა კინოფილმებიდან, 10.45 — ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსები, 11.15 — კონცერტი მოცარტის ნაწარმოებებიდან, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25—თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — უკრაინული სიმღერები ბ. გმირიას შესრულებით, 17.15 — ა. მავერზაშვილი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოინსცენირება „ტელეფონი", 18.10 — მუსიკალური ლექსიკონი, 18.45 — „მღერის ჰარი ბელაფონტე", 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები" — ნარკვევი „ბერმუხა", 20.15 — ქართული ხალხური საესტრადო სიმღერები, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — გადაცემა ქალებისათვის, 21.30 — ჟ. ვერდის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა, 22.00 — გადაცემა ციკლიდან — „მწერალი მიკროფონთან", 23.30 — საოპერეტო მუსიკა.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნისა — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, მრეწველობის — 8-20-43, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 00782 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.